F 75
1926
ეროვნული ბიბლიოთეკა




სახელმწიფო გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


გვერდი.

1. ლენინი ბავშობისას თავის დასთან—სურათი . . . 1
2. ზამთარი,—ლექსი კ. ლორთქიფანიძისა . . . 2
3. არ გავჩუმდები,—თარგ. დათასი. . . . . . 3
4. ერთი ღამე დათვებთან,—(დასასრული) დ. ძემამიძისა . . . . . . . . . . . . . 6
5. ცადმბჯენი,—მიტჩელისა, თარ. ნ. ჩ. . . . . . 12
6. ქუჩის ბიჭი,—ლექსი დ. მარიჯანიძისა . . . 18
7. ხაუცხოვო ხუთეული,—პიესა, თარგ. ქეთო ქორქოლიანი-თევზაძისა . . . . . . . . 20
8. ძმები თითები,—ს. ურუშაძისა . . . . . 27
9. თესლის ამოსვლა და ზრდა-განვითარება . . . 29
10. გასართობი: რებუსი და გამოცანები . . . 31
11. აღარ ჰყვავის ბაღში ვარდი,—სიმღერა. მუსიკა ნ. ძიძიგურისა . . . . . . . . . . 32

ეროვნული
ბიბლიოთეკა




წ. მე-XXII № 2 თებერვალი 1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

F/980



ლენინი ბავშობისას თავის დასთან

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზამთარი

ჰე, ბიჭებო, თოვლი, თოვლი,
გააცურე მარდად ციგა,
გადმოსულა, გადმოსულა
სიხარული ჩვენი ციდან.

დავაგროვოთ თოვლი გუნდად,
არ გვაჯობონ, აბა, ჩქარა!
ჰა, მოარტყი? ასე უნდა,
რომ იკვეხის წარამარა!

თებო, ჩანთა შენ გებაროს,
არა უთხრა სახლში დედას;
არ მოუშვა შენებურად,
თორემ.... ამ გუნდს შენც ხომ ხედავ?

და ქივილით ნავარდობენ....
გაითბობენ მცივან ხელებს,
იძახიან: ,,მარდად, მარდად,
აბა, თავს ვინ ისახელებს!“

ჰე, ბიჭებო, თოვლი, თოვლი,
გააცურე მარდად ციგა;
გადმოსულა, გადმოსულა
სიხარული ჩვენი ციდან.

კ. ლორთქიფანიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# არ გავჩუმდები

ერთ კვირა დილას მიხომ ვანო ქოხ-სამკითხველოში წაიყვანა.

ვანო პირველად იყო ქოხ-სამკითხველოში და გაფაციცებით და გაკვირვებით ათვალიერებდა კედელზე ჩამოკიდებულ პლაკატებს და სურათებს.

მან თვალი მოჰკრა ლენინის სურათს და ჰკითხა ვანოს:

— ეს ვინ არის?

— არ იცი? ეგ ლენინია,-უპასუხა მიხომ. ვანო ჩაუფიქრდა, შუბლი შეიჭმუხნა და უცბად წამოიძახა:

— ეს ის ლენინია, მია თევდორე რომ ემდურება? მერე რათ ჩამოუკიდნიათ იმისი სურათი აქ? მართლა ცუდი კაცი იყო?

— ეს, ჩემო ვანო, კიდევ საკითხია! ზოგს მოსწონს, ზოგს ეჯავრება. თევდორესთანა ადამიანი, რასაკვირველია, ლენინს არ აქებს. შენ იცი, როგორი მდიდარი იყო წინად თევდორე? ხუთ ადგილს დიდი უზარმაზარი ხოდაბუნები დაინარჩუნა, სოფლის ტყე და მინდორი ხელში ჩაიგდო და საწყალ ხალხს ტყავს აძრობდა.

— მერე?

— მერე ის, რომ მას ეს ყველაფერი ჩამოართვეს და ღარიბ გლეხობას სულობრივ გაუნაწილეს და, აბა, ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ იგი ილანძღებოდეს.

— მერე ეგ როგორ მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ მოხდა და ისე მოხდა, რომ აი სწორედ ამ ლენინმა დაინახა, რომ მდიდრები ავიწროვებდენ ღარიბებს, შემოიკრიბა თავის გარშემო მუშები და გლეხები და უთხრა:

— კმარა, ამხანაგებო, ამდენი თქვენი ტანჯვა! დროა თქვენც იცხოვროთ ადამიანურად. ჩამოართვით მემამულეებს მიწები და თანაბრად გაიყავით.

აი, რა ჩაიდინა ლენინმა და რისთვის ლანძღავს მას თევდორე!

ვანოს ეტყობოდა, რომ მიხოს სიტყვებს მიხვდა, დაბლა იატაკს დააცქერდა და თითქოს დარცხვენით მიხოს ნელი ხმით უთხრა:

— ვერ მიშოვნი შენ მე მაგისთანა სურათს, თუ გინდა ცოტა პატარას?

— შეიძლება! მხოლოდ კომკავშირში მოგვიხდება წასვლა.

მიხოს ლაპარაკი არ გაეთავებია, რომ ქოხ-სამკითხველოში შემოვიდა კომკავშირის მდივანი ვასო.

მიხო მაშინვე მივიდა ვასოსთან და ვანოს სურვილი გადასცა.

— მერე რად გინდა შენ ლენინის სურათი? ჰკითხა ვასომ ვანოს.

— რატომ არ მინდა? იწყინა ვანომ, შენ გგონია, არ ვიცი ვინ არის ლენინი? მე ყველაფერი ვიცი.

— მაშ კარგი, მოგცემ, მაგრამ გაუფრთხილდი და არსად მიაგდო.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა უფრო გააბრაზა ვანო, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთხრა, რადგან ეშინოდა, რომ სურათის მოცემაზე უარი არ ეთქვა ვასოს.

— მე სურათს ჩარჩოში ჩავსვამ და კედელზე ჩამოვკიდებ.

— კარგი, წამო, მოგცემ,—უთხრა ვასომ და სამივენი კომკავშირში წავიდენ.

კომკავშირში ვანომ ლენინის სურათი მიიღო, დიდი აღტაცებით გამოიქცა შინისაკენ და ეზოში მყოფ მამას შორიდანვე შესძახა:

— მამა, მამა, აბა, თუ მიხვდები, ვინ არის ეს?

— ეგ ხომ ლენინია, ვინ მოგცა?

— კავშირში მომცეს.

— კარგია, კარგი, მაგრამ მაგას ხომ ახლა ჩარჩოში ჩასმა უნდა?

— ვიცი, დამაცა, მამა, მაგასაც მოვახერხებ!—უპასუხა სიხარულით გაწითლებულმა ვანომ მამას და უფროსი ძმის და დის დახმარებით ორი საათის განმავლობაში ჩარჩო მოამზადა, მოათავსა შიგ ლენინის სურათი და კედელზე ჩამოჰკიდა. არც ერთი სტუმარი, არც ერთი მომსვლელი არ გამოჰპარვია ვანოს, რომ ყველასათვის არ ეჩვენებინა სურათი და არ ეთქვა:

— აი ლენინი! ეს ლენინია, რომელმაც თევდორეს მიწები წაართვა და ღარიბებს დაურიგა.

— შენ გირჩევნია გაჩუმდე, თორემ თევდორემ თუ გაგიგონა...

— მერე რა, რომ გამიგონოს თევდორემ? არ გავჩუმდები, არ გავჩუმდები, არ გავჩუმდები! მე რომ დიდი გავიზრდები, მეც ლენინისავით მოვიქცევი. არ გავჩუმდები!

დათია

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ერთი ღამე დათვებთან.

## III.

როცა მამა შაბათ-საღამოს სანადიროდ ემზადებოდა, მას არც გიგა ჩამორჩა: აბგაში პური და ყველი ჩაიდო, არ დაავიწყდა აგრეთვე წუმწუმა, თოფის წამალი და საფანტი, რომლებიც მას მამის თოფისთვის ჰქონდა მომარაგებული. გადაწყვიტა: წავა თუ არა მამა სანადიროდ, ისიც აიკიდებს აბგას და მამის ჩახმახიან თოფს, დაედევნება მამა-ბიძას, და, როცა ტყეში შევლენ, მაშინ შეუერთდება მათ.

გათენებისას გიგამ თვალები რომ გააჭყიტა, ჯერ კიდევ სიბნელე იყურებოდა ფანჯრებიდან. ცეცხლის შუქზე გაარჩია, რომ მამა ლოგინში აღარ იწვა და მისი გადასახსნელი სანადირო თოფიც კედელზე აღარ ეკიდა. ფრთხილად ჩაიცვა, რომ დედას და ბავშებს არ გაეგოთ, და გადაიკიდა წინა სა-

ღამოს ბალიშ ქვეშ შედებული აბგა, შემდეგ ფრთხილად ჩამოიღო კედლიდან ჩახმახიანი თოფი და ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ.

სოფლის თავში გაუთენდა. მინდორზე რომ გავიდა, დაიწყო ირგვლივ მზერა, მაგრამ მონადირეებს თვალი ვერსად მოჰკრა. მაინც არ დაუკარგავს მათი პოვნის იმედი: ტყეში რომ შევალ, გავეხმაურები და ძახილით მივაგნებო.

შევიდა გიგა ტყეში მამაცად. მას შიში არაფრისა აქვს: ვინ რას დააკლებს შეიარაღებულს! მაგრამ გაუკვალავი თოვლი ძლიერ უძნელებს სიარულს; თან ყირიმის *) კონდახიც სიარულის დროს შიგ ქუსლებში უკაკუნებს. მოიხსნა თოფი და ღვედი დაუმოკლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ახლა ქუსლების მაგიერ ბარძაყებში დაუწყო ცემა. გიგა ამას დიდ ყურადღებას აღარ აქცევს; რას იზამს, მონადირეა, უნდა ყოველგვარი გასაჭირი მოითმინოს!



კარგა მანძილი რომ გაიარა, დაუწყო ძახილი მამას და ბიძას, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დააპირა თოფის გასროლა, რომ ამ საშუალებით მაინც მიექცივნა მათი ყურადღება, მაგრამ მერე იფიქრა: მოდი ყურს მახვილად დავიჭერ და, რომ ისინი ნადირს თოფს ესვრიან, ხმაზე ვიპოვიო.

*) ყირიმი — ჩახმახიანი თოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემ საშუადღეოს მოატანა და მან ვერც კაცის და ვერც თოფის ხმა ვერ გაიგო. საშინელი დაღლილობა და შიმშილი იგრძნო. ერთი კუნძიდან ფარაჯის სახელოთი თოვლი გადაბერტყა, თოფი მოიხსნა და ზედ მიაყუდა. მერე თვითონაც ზედ ჩამოჯდა, აბგიდან საგზალი ამოიღო და დაიწყო მადიანად ჭამა...

ამ დროს დაინახა, რომ მის წინ აყუდებულ თოვლით შეღებილ ციცაბო კლდეზე რაღაც ორი მრგვალი საგანი მოგორავს შავად. რამოდენიმე წუთის შემდეგ მის წინ ზღართანი მოსძვრა ჯერ ერთს, მერე მეორე გორგალს.

გიგას განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამ გორგლებში მან დათვის ბელები გაარჩია. მოსტეხა პურს ორი ლუკმა და გადაუგდო მათ. დაბეგვილი დათვის ბელები მლივს წამოიბაბღლეს და მივიდნენ პურის ნატეხებთან; ჯერ დასუნეს, მერე მადიანად შეჭამეს. გიგამ კიდევ გადაუგდო მათ პურის ნატეხები; ესეც მალე გადასანსლეს. მერე ისე გათამამდნენ, რომ გიგასთან ახლო მივიდნენ და დაუწყეს მას სუნვა. გიგამ მათ ახლა ყველიც შესთავაზა; ისიც სიამოვნებით მიირთვეს...

გიგა ბელების ასეთ ფარეშობაში იყო, როცა შენიშნა, რომ მზე უკვე ჩასულიყო და ბინდდებოდა. გაოცდა, რომ ასე მალე დაღამდა; მან იცოდა, რომ მთებში ზოგ ადგილას მზე ძალიან ცოტა ხნით შეანათებს ხოლმე...

შინ დაბრუნებაზე უკვე გვიან-ღა იყო ფიქრი: ბნელში გზას ვერ გაიკვლევდა, თანაც ძალიან დაღალული იყო. წუმწუმა ჰქონდა, შეშა ბლომად ეყარა; ახლა საჭირო იყო უშიშარი და თბილი ბინის მოძებნა. ადგა და დაიწყო მოფარებული ადგილის ან რამე გამოქვაბულის თვალიერება. დათვის ბელები მას აედევნენ, მერმე კი წინ წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ გამოჩნდა ფრიალოდ ჩამოქცეული კლდე. ბელებმა მას მიაშურეს და შეძვრენ ერთ სოროში. გიგამ წუმწუმას გაჰკრა და შიგ შეანათა. სორო მოჩრდილსა ჰგავდა.



მოჰკრიფა ნაყარი შეშა და ფიჩხი და გამოქვაბულის შესავლის წინ ცეცხლი გააჩაღა, ჯერ ერთი, გაყინულ ხელ-ფეხის გათბობა უნდოდა; გარდა ამისა, გაგონილი ჰქონდა, რომ ცეცხლს ნადირი არ ეკარება. როცა კარგად გათბა, დაიხარა, შებობღდა სოროში. შიგნით კიდევ უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე პირველი შეხედვით ეგონა: არათუ წოლა და ჯდომა შეიძლებოდა, ოდნავ წელში მოხრილი ფეხზე გავლასაც კი ახერხებდა. გიგამ მოიხსნა თოფი და აბგა და დაბლა დააწყო, შემდეგ მივიდა სოროს სიღრმეში, სადაც დათვის ბელები მიკუჭულიყვნენ, და თვითონაც იქ მიწვა. ბელები მას აქეთ-იქით მოუწვნენ. სამი მეგობარი ჩქარა ღრმა ძილმა მოიცვა...

## IV.

ბართლომესა და ლექსოს შინ ცუდი ამბავი დაუხვდათ: გაიგეს, რომ გათენებისას გიგა სადღაც ჩაიქლაჯა. დედას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონა, რომ მამამ წაიყვანა სანადიროდ, მაგრამ როცა გაიგო მისგან, რომ გიგა დღეს თვალით არ უნახავს, ყველანი დიდ საგონებელს მიეცენ.

მონადირეებმა მოიხსნეს ნანადირევი და თოფები კედელზე ჩამოჰკიდეს. ბართლომემ შენიშნა, რომ მისი ყირიმი იქ აღარ იყო.

— თოფი ხომ არავისთვის მიგიციათ?—შეეკითხა ის თავის მეუღლეს.

— არა, ხელიც არავის უხლია!—იყო პასუხი.

— მაშ არა უშავს-რა: მონადირე ბართლომეს შვილს თუ იარაღი აქვს, ნადირი ვერას დააკლებს!—ანუგეშა მან თავისი მეუღლე, თუმცა გიგას დაკარგვით გულში თვითონაც ძალიან შეფიქრიანებული იყო.

ბართლომემ და ლექსომ გადასწყვიტეს, მეორე დილით ადრე წასულიყვნენ ტყეში: გიგაც მოეძებნათ და იქ დარჩენილი დათვის ხორციც ჩამოეტანათ.

ჯერ მზე არ იყო ამოსული, რომ ისინი ტყეს მიუახლოვდნენ. ტყის პირას საღორეები იყო. ერთმა მეღორემ აცნობა მათ, რომ გუშინ დილას ერთი თოფიანი ბავში შევიდა შინდიან-გორის ტყეში. ბართლომე თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ეს ბავში მისი გიგა იქნებოდა.

მონადირეები წავიდნენ იქით, საითაც მეღორემ ანიშნა. თოვლზე გიგას კვალს მალე მიაგნეს და მას გაჰყვნენ. კარგად რომ შეიმაღლაურეს, კვალი დაეკარგათ, რადგან წინა ღამეს ცოტა წამოეთოვა. ამის გამო ანდეზე*) დაიწყეს მათ ძებნა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მიადგნენ იმ ფრიალო კლდეს, სადაც გიგას და მის ორ მეგობარს ეძინათ სოროში.

*) ანდე— ძალიან მცირედ რისამე ხედვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირეებმა სოროს წინ შენიშნეს ნაცეცხლარი, რომელზედაც სითბოს გამო წინა ღამეს თოვლს ფეხი ვერ მოეკიდა.



— ალბათ ნადირს შეუბოლეს!—სთქვა ლექსომ.

— არა, შესაბოლებლად ცეცხლს შიგ სოროს შესავალში დაანთებენ ხოლმე, რომ ნადირი ბოლით შეწუხდეს და გარეთ გამოვიდეს,—სთქვა ბართლომემ;—ეს ვისმე თავის გასათბობად დაუნთია!

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ გიგამ სოროდან თავი გამოჰყო. მას თან მოსდევდენ მისი ძმობილები.

მონადირეების სიხარულს და თან გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. გიგამ უამბო მათ თავისი თავგადასავალი.

ჯერ კიდევ სამხრობისას დაბრუნდენ ისინი შინ და თან წამოიყვანეს დათვის ბელებიც. გახარებული დედა, და-ძმები და მეზობლები შემოეხვიენ გიგას და ჰკითხავდენ, როგორ გაატარა მან ღამე ტყეში.

გიგა ყველას ამაყად და ღირსებით უამბობდა, როგორ დაუმეგობრდა ტყეში დათვებს და როგორ გაათია ღამე მათთან მარტომ სოროში...

დ. ძეძამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ცადმბჯენი

ერთხელ უზარმაზარ ქალაქში ძალიან დიდი სახლი ააშენეს. ღრმად ჩააშენეს ის მიწაში, მაღლა აიყვანეს ჰაერში. ახლა, როდესაც ცადმბჯენი დამთავრებულია, მის ძირში მოსიარულე ხალხი ვერ ამჩნევს, თუ როგორ ღრმად არის ჩასული ის მიწაში. მაგრამ არ შეიძლება არ შეამჩნიონ, როგორ მაღლა აფრენილა ის ჰაერში. კისერი სტკივათ გამვლელებს, როდესაც ასწევენ თავს, რომ შეხედონ ცადმბჯენის მწვერვალს, რადგან ეს ცადმბჯენი ყველა სახლზე უფრო მაღალია.

ეს ცადმბჯენი დიდი ქალაქის შუაგულში არის აშენებული. მისი მწვერვალიდან ჩანს მთელი ქალაქი, ისმის ქალაქის გუგუნი, ყნოსავ ქალაქის ჰაერს—იმ ქალაქის, სადაც მრავალი ხალხი ცხოვრობს და მუშაობს. აქიდანვე შეიძლება დაინახო ქალაქის ქუჩები, ხალხით გაჭედილი, სადაც ფუსფუსობენ პაწაწკინა კაცები და მუშტისოდენა ავტომობილები, ზღვის ნაპირი მისი პაწია საქონლის საწყობებით, მდინარე მისი თითქოს ბავშის სათამაშო ხიდით და ასეთივე სათამაშო, მაგრამ ნამდვილად კი უზარმაზარი გემებით, ნავებით და ბორანებით. ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეული ხმაურობა, ბუტბუტი ისე მოისმის, როგორც სადღაც შორს მყოფი უზარმაზარი ნადირის ბრდღვინვა. ყველა ამას გადაფარებია კომლის და გაზის სუნი. ცადმბჯენი დგას დიდი ქალაქის შუაგულში. მისი მწვერვალიდან ლურჯ-ლაჟვარდ ცაში მოსჩანს ფართო მიდამოები. ხმელეთის მხრივ, როგორც გეოგრაფიული რუქა, გადაჭიმულია მინდვრები, რომელნიც შორს, შორს იმალებიან ნისლში და ბურუსში, წყლის მხრიდან კი მქვს თვალუწვდენელი უზარმაზარი ოკეანეს სივრცე, შორეული ცისფერი ოკეანე, რომელიც თითქოს ცისაკენ მიიმართება.

ეს მაღლა ამართული ცადმბჯენი ბევრი, ბევრი ადამიანის მიერ არის აშენებული.

ეს მაღალი კოშკი ყველაზე უწინ ხუროთმოძღვრის მოფიქრებულია. მან დახუჭული თვალებით წარმოიდგინა ეს კოშკი და თავისი გამოცდილი თითებით შექმნა ნახაზები, მერმე სახელოსნოში მისი თანამშრომლები გრძელ და მაღალ მაგიდასთან, შეიარაღებულნი სამკუთხედებით და ფარგლებით, მუშაობდენ ნაშუაღამევამდის, სანამ ყველა გეგმები არ დაამზადეს.

მაშინ ცადმბჯენმა დაიწყო ზრდა. პირველმა მუშებმა მოიტანეს ბრჭყვიალა, ორთქლით მომუშავე ნიჩბები. მათ ამოთხარეს მიწა ასი ფუტის სიღრმეზე. ორთქლით მომუშავე უზარმაზარი ნიჩბები ღრღნიდენ ქვებს და მიწას. ისინი მიწის სიღრმეში იღებდენ ვეებერთელა ბელტებს, ამოჰქონდათ უდიდესი ამომწევი მანქანებით და მიწის ზედაპირზე ჰყრიდენ. სთხრიდენ ისინი ღრმად, ღრმად ნიადაგში, სანამ არ მიაღწიეს უმაგრეს ფენას. მერმე ამოავსეს ეს საშინელი ორმო ფოლადის ბადეებით.

უკანასკნელად—ეს იყო მღელვარების დღე—იწყეს უზარმაზარი ბოძების ამართვა. კვლავ მოაწყვეს ამწევი ჭახრაკები. კვლავ ნელა, დაჟინებით აწყობდენ ისინი თვითეულ ბოძს თავის ადგილას. ათასობით ფუსფუსობდენ მუშები ფოლადის ჩონჩხზე. ზოგი მუშაობდა გავარვარებულ ფოლადზე, ზოგი აცივებდა მას ქვაბებში. ყველა ეს ხდებოდა გრდემლის ხმაურობასთან შეთანხმებით.

და ბოლოს ცადმბჯენი აფრინდა სამოც თავბრუდამხვევ სართულზე.

შემდეგ გამოჩნდენ კალატოზები და შელესეს ფოლადის უზარმაზარი ჩონჩხი, ცადმბჯენის შუაში სწრაფად მოაწყვეს ამწევი მანქანა. მოიწვიეს ყოველი დარგის მუშები და ყველა მოვიდა.

ქვეყანა უსმენდა ამ უზარმაზარი ქალაქის შუა ამართული ცადმბჯენის ძახილს. დაწყებული მინნესოტის ნაღმებიდან, დამთავრებული ლუიზიანის ჭაობებით—აქ მოდიოდა ცადმბჯენისთვის საჭირო მასალა. ძველ დროში ეკლესიები იზრდებოდენ თანდათანობით, რადგანაც ყველა საკუთარ საქმეზე ფიქრობდა—ერთი კარს სჭრიდა, მეორე ფანჯარას აზომებდა და სხვ.

ცადმბჯენი კი სულ სხვანაირად შენდებოდა. იგი იზრდებოდა სწრაფად.

მისი ნაწილები კეთდებოდა მთელ ქვეყანაზე გაბნეულ ქარხნებში. ყოველ ქარხანას მზად ჰქონდა დაკისრებული ნაწილი და რკინის გზა მზად იყო, რომ ჩქარა მიეტანა ისინი თავის ადგილას.

ცადმბჯენი იზრდებოდა სწრაფად, მისთვის ყველა მუშაობდა, როგორც ერთი კაცი.

უზარმაზარ ქალაქში ააშენეს ვეებერთელა სახლი. ღრმად ჩააშენეს ის, ღრმად მიწაში. მაღლა ააფრინეს ის, მაღლა ჰაერში. ახლა კი ისინი სარგებლობენ თავისი აგებული შენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადმბჯენში თავშეფარებულია ათიათასი კაცი. მთელი დღე მიცოცავენ ზევით და ქვევით ისინი, როგორც მწერები უზარმაზარ ხეზე.

ბზუიან, ბზუიან და მერმე შინისაკენ მიისწრაფიან.

აი, უკვე დაბნელდა ქუჩები ცადმბჯენის ძირში, მის მწვერვალზე კი ბრწყინავს უდიდესი სინათლე. მისი შუქი სჭრის ნისლს და როდესაც ველურად ჭკივის გრიგალი, სინათლე სწვდება შეშინებულ გემებს, რომლებიც ზღვის უდიდეს ტალღებზე ქანაობენ.



გრიგალი ღმუის და ეჯახება მწვერვალგანათებულ კოშკს. გრიგალი ეჯახება მის კედლებს, კოშკი ირხევა ქარისაგან, კოშკი ფოლადის და ქვის, ირხევა და ირხევა თითქმის ორი ფუტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე, როდესაც გრიგალი შენელდება, ეს ქვისა და ფოლადის კოშკი გადიხრება უკან, რომ ისევ გაიმართოს.

მაშ, ასე, უდიდეს ქალაქში ხალხმა ააშენა ეს უზარმაზარი სახლი. ღრმად ჩააშენეს ის, ღრმად მიწაში, მაღლა ასტყორცნეს ის, მაღლა ჰაერში. ახლა, როდესაც ის დამთავრებულია, მის ძირში მოსიარულე ხალხი ვერ ამჩნევს, თუ როგორ ღრმად არის ის ჩასული მიწაში. მაგრამ შეუძლებელია არ შეამჩნიონ, თუ რა მაღლა არის აფრენილი ის ჰაერში. კისერი სტკივათ მათ, როდესაც ასწევენ თავს, რომ შეხედონ ცადმბჯენის მწვერვალს, რადგან დედამიწის ყველა სახლებთან შედარებით ეს ცადმბჯენი ყველაზე უფრო მაღალია.

ნ. რ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



F 1980

# ფისო და თაგუნია.

კერის პირას ფისუნა წევს,
მაგრამ კი არ ეძინება;
იმ სამაგელს, კუდიანსა
ეშმაკურად ეცინება.

—

თურმე თაგვი შეუნიშნავს
იქ, სოროდან ამომძვრალი,
სურს პატარა წრუწუნასა
დაუყენოს ორივ თვალი.

—

ჰა, კიდევაც გაჰკრა კლანჭი,
დაიჭირა პაწაწკინა.
შეჭამა და... სამაგელმა
არხეინად დაიძინა.

კატო ბურ-ძე.

ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქუჩის ბიჭი

ღამე არი ჩუმი, ბნელი,
დანავარდობს ცივი ქარი,
ქუჩის ჭირად ბავში კვნესის
ნაგლეჯების ანაბარი.

—

ზამთრის სუსხი. ცივა... ცივა...
უკანკალობს ობოლს ხელი,
მაგრამ ზედაც არ უყურებს
გამვლელი და გამომვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დარაჯის სიარულზე
ქვაფენილი აძლევს ხმაურს...
ძლიერ ბნელა. თითქოს ქუჩებს
ზეცა აცმევს თოვლის ტრაურს!

—

მხოლოდ თოვლი.. ისევ თოვლი...
გულსაკლავი სტვენა ქარის...
და შველა კი ობლისათვის
არსაიდან აღარ არის.

—

მაგრამ ჩარხი ცხოვრებისა
დატრიალდა სხვანაირად,
და ობოლი საცოდავი
აღარ დარჩა განაპირად.

—

საბავშო სახლს მიაშურა,
იქ მონახა მშობლის კერა,
კმაყოფილი არის ახლა,
თავს აღარ გრძნობს ბედის გერად.

—

ქუჩის ბიჭს არ ეძახიან,
ესეც გახდა ბედნიერი,
მუშაობს და სწავლობს კარგად
მომავალი პიონერი.

დ. მარიჯანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საუცხოვო ხუთეული



მოქმედნი პირნი:

მამა — მუშა.
ლადიკო — 15 წლ.
ბორისი — 13 წლ.
ირინე — 14 წლ.
მარიანე — 5 წლ.
იურა — 7 წლ.

(ლადიკო, ბორისი, ირინე, მარიანე, იურა — მისი შვილები.)

სცენის უკან ხალხის დიდი მოძრაობაა და სროლა ისმის. სუფთა, მაგრამ ღარიბული ოთახი მუშის. მარცხნივ დიდი გრძელი ფანჯარაა, ფანჯრის ქვემოთ გრძელი სკამია. პირდაპირ—განიერი კარები. კუთხის სიღრმეში მოთავსებულია პლიტა და თარო ჭურჭლეულობითა და სამოვრით.

ოთახის შუა, მარჯვენა კედლის მახლობლად, დიდი მაგიდაა. მაგიდაზე წიგნს უზის ბორისი და სახით მიჩერებულია ხალხისაკენ. სჩანს, რომ ძლიერ გატაცებულია კითხვით და ღელავს. მაგიდისა და კედლის შუა ირინე ზის და კერავს. ირინე ძლიერ აღშფოთებულია, ხშირად იყურება ფანჯარაში და ყურს უგდებს.

ფანჯრის ახლოს იატაკზე მარიანე და იურა სხედან და თამაშობენ უბრალო კუბიკებითა და ფალასებით; მარიანე აშენებს პატარა სახლს. ოთახი განათებულია და სიწყნარე სუფევს. პირველ ხანებში ყველა სდუმს.

**იურა.**—(მარიანეს) კუბიკი აქ დადგი, ეგ კიდევ იქ. ასე უფრო ლამაზია, არა?

**მარიანე.**—კარგი (ასწორებს, ათვალიერებს, შიჩჯავს თავის ნაკეთებს და მერე მტკიცედ) არა, არ ვარგა! მე ყველაფერს დავანგრევ, იურა. მე ხელახლა ავაგებ მეორეს—დიდს, უფრო ლამაზ სახლს, რომ შიგ ყველას შეეძლოს ცხოვრება!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იურა.**—მერე და შენ სახლის აშენება იცი, განა?

**მარიანე.**—(დარწმუნებით). რასაკვირველია, ვიცი და შემიძლია.. (ორივე ხმაურობენ მლიან კუბიკებს, მარიანე ხელახლა შეუდგება კუბიკების აშენებას, მაგრამ გამოუდის რაღაც უშნო და ულამაზო).

**იურა.**—(ყურადღებით დახედავს რა დის შენობას, მიმართავს ირინეს) სად არის მამა? მამა ჯერ კიდევ არ მოსულა?..

(სიტყვა „მამას" გაგონებაზე მარაანე თავს მიიბრუნებს დისკენ; სჩანს, რომ ბავშები შეწუხებულნი არიან).

**ირინე.**—(მწუხარედ თავს გადააქანებს). მამა? არა, არ მოსულა. მე მთელი ღამე ლამფა ანთებული მქონდა, მამას ვუცდიდი..

(იურა დაფიქრდება; მარიანე მშვიდად განაგრძობს თავის სახლზე მუშაობას, რომლის კედლები თანდათანობით მაღლა და სწორად აჰყავს).

**ირინე.**—(ფრთხილად, თითქოს ბავშებს წინასწარ ამზადებსო). მამამ დაიბარა, თუ დამაგვიანდეს, თქვენ დეიდა ანასთან წადითო.

**იურა.**—(ერთბაშად აღელვებული). „მამამ დაიბარა, რომ არ მოვალო? (მარიანე ისევ ყურს უგდებს).

**ირინე.**—(დასამშვიდებლად) როგორ არა, მოვა, ცოტა დავუცადოთ (კვრავს).

**მარიანე.**—(ნელა იმეორებს) კიდევ ცოტა ხანს დავუცადოთ...

**იურა.**—(დგება იატაკიდან და ადის ფანჯარასთან სკამზე) ო, რამდენი ხალხია დღეს ქუჩაში. ეს რა ამბავია, რათ არის ამდენი ხალხი ქუჩაში?

**ირინე.**—არ ვიცი. ლადიკოც სადღაც წავიდა. (იურა გაძაბული იყურება ფანჯარაში).

**ირინე.**—(წყნარად იმღერის) ,,ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს, შემოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი"..

**მარიანე.**—მამაც ყოველთვის ამ სიმღერას იმღეროდა ხოლმე.. (იმეორებს) ,,შემოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი"...

(მისი სახლი უკვე ლამაზია და დიდი).

**ირინე.**—(აღელვებული) მართლა, აქამდის ლადიკო რატომ აღარ დაბრუნდა? მამამ ხომ აგვიკრძალა დღეს ქუჩაში გამოსვლა უიმისოდ...

**იურა.**—(გაკვირვებით). რათა?

(უეცრივ ბორისი წამოვარდება და როგორც გონებადაბნეული ჭყვირის და მუშტებს ურტყამს მაგიდაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბორისი.** — არა, ეს არ შეიძლება, მე ვამბობ, რომ ეს არ შეიძლება მეთქი... მე აუცილებლად წავალ ამერიკაში...

(ბავშები შეშინდებიან. იურა და მარიანე მიცვივდებიან ბორისთან. განსაკუთრებით ძლიერ შეშინებულია ირინე, შიშისაგან ცახცახებს).

**ირინე.** — ეს რა მოგდის, რა დაგემართა?

**ბორისი.** — მე წავიკითხე მონების შესახებ ,,ბიძია თომას ქოხში".

**ირინე.** — (აღელვებული დაეშვება სკამზე). განა შეიძლება ასე შეშინება? (კიდევ ღელავს, დაიღუნება საკერავზე და განაგრძობს მუშაობას) მაინც, რა წაიკითხე შენ?..

**ბორისი.** — (მხნედ). მე აუცილებლად წავალ ამერიკაში...

იქ თეთრები იჭერენ მონებს, იტაცებენ ადამიანებს და ჰკრავენ ბაწრით, როგორც ნადირს და მხეცს... დღე-და-ღამ ამუშავებენ მათდა სასარგებლოდ, მერე კი დავრდომილსა და უნუგეშოს სადღაც გადააგდებენ, რომელსაც შიმშილით სიკვდილი მოელის... დედას გულზე შვილებს აგლეჯენ, ხოცვენ და ჰყიდიან... არა, მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! მე აუცილებლად წავალ ამერიკაში მონების გასათავისუფლებლად.

**ირინე.** — (დაფიქრებით) მამამ სთქვა, ჩვენც მონები ვართო (ხელი-ხელჩაკიდებული პატარები ინტერესით უსმენენ).

**ბორისი.** — (ცოტათი დამშვიდებულია და გაკვირვებით) მამამ სთქვა, ჩვენ მართლა მონები ვართო?

**ირინე.** — (უფრო და უფრო გატაცებით და მხნედ) ოჰ, რასაკვირველია, ნუთუ შენ აქამდის არ იცი? ქარხნის უფროსი რომ ამუშავებს მამას მთელი დღე-და-ღამე, განა შენ არ იცი? ნუთუ ვერ ამჩნევ, როგორ დაიწყო მამამ ამ უკანასკნელად ავადმყოფობა? და ბოლოს დედა რით გადაიცვალა? როცა დედა ქარხანაში მუშაობდა, ყოველთვის პირი და ცხვირი ცხვირსახოცით ჰქონდა ახვეული, რომ ტყვიის მტვერი არ ჩასვლოდა ფილტვებში. დედას ხშირად ახველებდა, ის იტანჯებოდა და როცა დედა მოკვდა, მამამ საცოდავ დედაზე სთქვა, ის ჩვენმა ხაზეინმა მოინელაო... მაშ...

**მარიანე.** — (შეშინებული) მერე და ვინ მისცა ხაზეინს ამისი უფლება?

**ირინე.** — (ბრაზმორეული) ვინ მისცა ამისი უფლება? — მეფემ, თეთრმა მეფემ... აი ვინ... ჩვენი ლადიკო? — ის მხოლოდ ერთი წლიწადია, რაც ქარხანაში მუშაობს და, დახე, როგორი გამხდარია და მეც ხომ ისე ვმუშაობ, როგორც დიდი... შენ, ბორის, იმით ხარ მაინც ზედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერი, რომ მამამ სკოლაში მიგაბარა, თორემ შენაც ასეთი დღე მოგელოდა.—იურასაც ეს დღე მოელის!

**იურა.**—(აღელვებული) ჩვენც ბაწრებით შეგვკრავენ?

**ირინე.**—(სულის სიმტკიცით) შეიძლება უფრო უარესიც გვიყონ! ბაწრის გაწყვეტა კიდევ შეიძლება. აი, ქარხნის ხაზეინი მამას ჯამაგირს აძლევს და მამამ, რომ ჩვენ გამოგვკვებოს, უნდა ყველაფერი ითმინოს. მამას ჯამაგირი ძლივს-ძლივობით გვყოფნის საზრდოდ და სწავლისათვის კი აღარაფერი გვრჩება. ჯერჯერობით კი ბორისი სწავლობს და სანამ ის დაამთავრებდეს, მანამ ჩვენ მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, რომ ველოდოთ, მალე დაამთავროს ბორისმა სწავლა. მერე კი ჩვენც ვისწავლით. მამას ჯამაგირი ყველას არ სწვდება (დაიწყებს გაცხარებულ კერვას). მანამ ყოველივე უნდა მოვითმინოთ.

**ბორისი.**—(გაცხარებული) მე არ მოვითმენ. მე უეჭველად უნდა წავიდე. (გარედან ისმის სროლა და ხალხის ხმაურობა. ბავშები მიცვივდებიან ფანჯარას).

**ირინე.**—(აღელვებული) რა ამბავია, რა მოხდა!? ნეტავ ლადიკო სად არის?

**იურა.**—(ფანჯარასთან) უხ! რამდენი ხალხია მართლა.

**ბორისი.**—აი, ლადიკო, ლადიკო!.. (ირინე გარბის, აღებს კარებს და შემოდის ლადიკო. ის ძლიერ აღელვებულია).

**ლადიკო.**—მამას წერილი არის. (ბავშები ლადიკოს შემოეხვევიან).

**ბორისი.**—წერილი? რისთვის? მამა განა სად არის? ვინ მოგცა?

**ლადიკო.**—მამას ამხანაგმა გადმომცა, წუხელ მამა კრებაზე ყოფილა და მაშინ დაუწერია წერილი. მამას ამხანაგმა სთქვა, მამა არ დაბრუნდებაო. (სიჩუმე ჩამოვარდება).

**ბორისი.**—მომეცი წერილი (ლადიკო აძლევს).

**ბორისი.**—(აღელვებული ხმით კითხულობს), ბავშებო! ძვირფასო ჩემო ხუთეულო! თუ ვერ მოასწარით დეიდა ანასთან გადასვლა, ისხედით სახლში. მე როდის დავბრუნდები, არ ვიცი. ბორიამ იმაცადინოს. მუშებს სჭირდებათ სწავლა, რომ უკეთესად ებრძოლონ მეფეს და ხაზეინებს. გახსოვდეთ თქვენი მამა.

(ცოტა ხნით სიჩუმეა, მერმე ისმის სროლა, ხალხი გარბის, ყვირილი და ხმაურობაა, ისმის მარსელიეზის სიმღერა, რომელიც თანდათან შორდება).

**ირინე.**—(გაუბედავად) ეს რას ნიშნავს, ლადიკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლადიკო.**—ეს რევოლუციაა, ირინე. მამაც წავიდა სხვა მუშებთან ერთად მეფესა და ხაზეინებთან საბრძოლველად.

**ირინე.**—(გაუბედავად) დეიდა ანასთან წასვლა არ შეიძლება?

**ლადიკო.**—რასაკვირველია, არა. მთელი ქუჩები შეკრულია გაფთრებული მუშებით. მეც ძლივს გამოვედი აღელვებული ხალხიდან. აბა, მოდით, შეხედეთ. (მიდიან ფანჯარასთან. პატარები ეხვევიან ლადიკოს. ამ ლაპარაკის დროს ბორისი ჩუმად იხურავს ქუდს, იცვამს ქურთუკს და შეუმჩნევლად გადის. სახეზე ღრმა გადაწყვეტილება ეხატება. პირველად ბორისის წასვლას ირინე ამჩნევს).

**ირინე.**—(ლადიკოს) ბორია წავიდა.

**ლადიკო.**—რას ამბობ? (გულმოსული) მამამ ხომ აგვიკრძალა ქუჩაში გასვლა. მე ახლავე მოვიყვან ბორიას, თქვენ კი აქ იყავით. (გარბის.)

(სამივე ბავში რჩება ფანჯარასთან. ფანჯარა ნათდება ცეცხლისფრად).

**იურა.**—ირინე! შეხედე, რამდენი ჯარისკაცი ირევა ქუჩაში. რომელი ჯარისკაცები არიან ისინი, ირინე? აი, შეხედე, შეხედე, ერთი როგორ დაეცა მიწაზე.

**ირინე.**—უთუოდ დაიჭრა საცოდავი. მე გავიქცევი ძირს, თქვენ კი აქ ისხედით წყნარად. (იხურავს მოსასხურავს და გარბის. ბავშები კი ისევ ფანჯარასთან არიან).

**იურა.**—შეხედე, შეხედე, მარინე, რამდენი ჯარისკაცია და ყველას წითელი ლენტები აკერიათ.

მე ჯერ არ მინახავს ესენი... აი, იქ მეზღვაურები კიდევ... ირინე მათ ელაპარაკება. (მიეყრდნობა ფანჯარას, თითქოს უნდა გაიგოს მათი ლაპარაკი). რაო... რაო... შენთან... ახლავე. (მივარდება კარებს და დაეტაკება ირინეს).

**ირინე.**—იურა! ჯარისკაცები მოვიდნენ, რომ დაეხმარონ ხალხს მეფის წინააღმდეგ. აწ აღარ ესვრიან ხალხს, მარიანე. სად არის შენი სუფთა ფალასები? მოწყალების დას უნდა მივცე დაჭრილებისათვის. (ეძებენ კალათში სუფთა ჩვრებს) ჯარისკაცები მოვიდნენ მამას დასახმარებლად (გარბის იურა, უბრუნდება ფანჯარას.)

**იურა.**—(ფანჯარასთან) კიდევ, კიდევ ჯარისკაცები. რა ლამაზი და დიდი დროშა არის. შეხედე, შეხედე მარიანე! (მარიანე შედის ფანჯარაზე, გარედან ისმის ხმაურობა). დახედე, ისინი ჩვენს კიბესთან დასხდნენ. რისთვის დასხდნენ? ერთი, ორი... შეხედე, ისინიც ხუთი არიან, როგორც ჩვენ, ისინიც ჩვენთან გამორბიან. (შემორბის ირინე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ირინე.**—(გახარებული). ბავშებო, ჯარისკაცები ოცდაათი ვერსის სიშორიდან მოვიდენ, ისინი მოდიან დილიდან, მიანებეს თავი თავიანთ უფროსებს და ხალხის დასახმარებლად გამოეშურენ. ჯარისკაცებს სწყურიათ, გესმის, იურა. (იურა ფანჯარასთან ისევ მიკრული, რომ არ ესმის). მარიანე! წაულე შენ! მე კი სამოვარს დავდგამ, ისინი ხომ კიდევ მოვლენ.

**მარიანე.**—(შეწუხებული) მე ვაჩუქებ მათ ჩემს შაქალამებს.

**ირინე.**—აი, ახლა კარგი გოგონა ხარ. ბულკი, ძეხვებიც, ყველაფერი, რაც მამამ დაგვიტოვა, ჩაალაგე კალათში და გაუტანე, მხოლოდ არ შეგცივდეს. (ახურავს ბავშს).

(მარიანე კალათით ხელში გადის. იურა ფანჯარასთან არის. ირინე სამოვარს დგამს).

**ირინე.**—(თავისთვის) ისინი ამბობენ, ხალხმა გაიმარჯვა და აწი სროლა არ იქნებაო. (იმღერის მარსელიეზას. ბრუნდება მარიანე—ის მხიარულია, სდგამს კალათს, დოქს და იხდის მოსასხამს).

**მარიანე.**—(მხიარულად) იმან მითხრა, გმადლობთ, პატარა ამხანაგოო (არავინ ყურადღებას არ აქცევს და უჯდება თავის კუბიკებს).

**იურა.**—(ფანჯარასთან) დედავ! რამდენი ხალხი მირბის და ყველანი კი წითელი დროშებით (ისმის ვაშას ძახილი). შეხედეთ, დეიდა ანაც გამორბის. ვიღაც ბიჭს დროშა მოაქვს. ეს ხომ ლადიკო არის... ბიჭოს, ბორიაც... (მხიარულად უკრავს მინზე... ირინე და მარიანე მირბენენ ფანჯარასთან).

**იურა.**—(უკრავს მინაზე) ლადიკო, ბორისი. (უცებ სხვა ხმით წამოიძახებს) მამავ!

(ყველანი მოსცილდებიან სკამს ძახილით: „მამა“, „მამა“ და კარებში შეეფეთებიან მამას. არეულობაა. მამას შემოჰყვება ლადიკო დროშით ხელში. დროშაზე აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. მ თთან ერთად შემოდის ბორისი).

**მამა.**—(მხიარულად, თან დაღლილი, სტაცებს ხელს მარიანეს და აიყვანს). აბა, ჩემო საუცხოვო ხუთეულო! ცოცხლები მყავხართ, არა! (ოთახის შუა სკამზე ჩამოჯდება და იქაურობას ათვალიერებს). თითქოს წელიწადი არ ყოფილიყო სახლში. ყველაფერი კარგად არის. ირინე! ოჰო, შენ სამოვარიც მზად გქონია. აი, კარგი გოგონა ხარ ახლა.

**ირინე.**—(ამაყად) ეგ, მამა, მე ჯარისკაცებისათვის დავდგი. იმათ ოცდაათი ვერსი გზა გამოიარეს, რომ მუშებს მიშველებოდენ. მამა! ჩვენ ისინი ვასაუზმეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამა.**—(გაკვირვებული) მართლა?! მე ვხედავ, რომ თქვენ მართლაც საუუცხოვო ხუთეული მყავხართ.

**მარიანე.**—მე მივეცი ჩემი ნაჭრები.

**ირინე.**—ეს დაჭრილებისათვის, მამა

**მამა.**—(უფრო გაკვირვებული) აგრე .. აგრე...

**მარიანე**—მამა! ჯარისკაცებმა მითხრეს: გმადლობ, პატარა ამხანაგოო.

**მამა.**—(ალერსით). მართლაც რომ თქვენ პატარა ამხანაგები იყავით. (ხუმრობით). მარიანე! დღეს ხომ შენი დღეობა არის.

**ბავშვები.**—(გაკვირვებული) როგორ, მამა?..

**მამა.**—რასაკვირველია. თქვენ იცით, რას ნიშნავს სახელი მარიანე? დედა მარიანე—აგრე უწოდებენ მუშები საფრანგეთში რევოლუციას. დიახ! დიახ! ჩვენც დღეს რესპუბლიკა გვაქვს. ჩვენც ჩამოვაგდეთ მეფე ტახტიდან (აიყვანს მხიარულ მარიანეს ხელში). გაუმარჯოს ჩვენს დედა მარიანეს, ვაშა (ბავშვები გახარებული ყვირიან ვაშას).

**მამა.**—მარიანე! მე ვხედავ, რომ შენ კუბიკებიდან აშენებ სახლს. მშრომელი ხალხი კი შენთვის და შენისთანა პატარებისთვის აშენებს დიდს, ბრწყინვალე და საუცხოვო სასახლეს... მაგრამ ეს აგრე მალე არ იქნება, ბავშვებო. ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა დაგვჭირდება ამისთვის.

**ბავშვები.**—(გულდაწყვეტილნი) ნუთუ?

**მამა.**—დიახ, ჩვენ ჩამოვაგდეთ მეფე ტახტიდან, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩნენ ხაზეინები—ქარხნის მეპატრონეები—იმათანაც უნდა ვებრძოლოთ... ეს კი უფრო ძნელია. მე დღესვე წავალ, ბავშვებო, საქმე ჯერ კიდევ გათავებული არ არის, თქვენ ნუ შეშინდებით, ახლა კი აუცილებლად დავბრუნდები თქვენთან. შენ, შვილო ლადიკო, ჩემთან წამოდი და წამოიღე შენი დროშა, შენ დაიმსახურე ეს. თქვენ კი (მიუბრუნდება დანარჩენებს) იჯექით სახლში. ბორია! შენ არ გაბედო გარეთ გამოსვლა, გესმის? (ისმის ინტერნაციონალის სიმღერა) გესმით, ბავშვებო! ეს მუშები მოდიან. მოიხადეთ ქუდები. ადექით ყველა...

(ყველანი დგებიან. სიმღერა უფრო და უფრო ახლოვდება. მამა ბავშვებით უერთდება მომღერლებს).

ფ ა რ დ ა.

ქეთო ჟორჟოლიანი-თევზაძე.

# ძმები-თითები.

იყო ხუთი ძმა, გვარად თითები. ისინი ერთ მწკრივად ცხოვრობდნენ. ერთი მათგანი სხვებზე ცოტა მოშორებით იდგა და თავისუფლად ეჭირა. თავისი ადგილიდან ის ყველა ძმას ხედავდა. ეს ძმა ყველაზე უფროსი იყო და სახელად ცერი ერქვა.

როდესაც რომელიმე ძმა სამუშაოდ წავიდოდა, ცერი იმავე წამში უკან გამოუდგებოდა და მუშაობაში შველოდა. უმცროსი ძმები ისე შეეჩვიენ მისგან დახმარებას, რომ მარტო არც კი მუშაობდნენ. სამაგიეროდ მათ ძლიერ უყვარდათ თავისი უფროსი ძმა და როდესაც ის სამუშაოდ გამოვიდოდა, უმცროსი ძმები მხიარულად მიესალმებოდნენ ხოლმე.

უფროსი ძმა არც ისე მაინცადამაინც დიდი იყო სხვებზე. მას დაბალი, ჯმუხი და მეტად ჩასუქებული ტანი ჰქონდა, რისთვისაც მას სხვა ძმები ხუმრობით კიდეც აჯავრებდნენ ხოლმე.

მომდევნო ძმა უფრო მაღალი და წვრილი იყო. მას ძმები საჩვენებლას ეძახოდნენ. ეს სახელი მართლაც ზედგამოჭრილი იყო მასზე, რადგანაც, რასაც კი დაინახავდა, ყველაზე ადრე უჩვენებდა. მას ტკბილეულიც მეტად უყვარდა და ამიტომ მეტკბილიაც დაარქვეს მეტ სახელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუათანა ძმა ყველაზე მაღალი იყო. ამით ის კიდეც ამაყობდა და სრულიად არ სწყენდა, როდესაც მას წოწოლას დაუძახებდენ. ამ ძმას ერთი რკინის ქუდი ჰქონდა, რომელსაც მაშინ დაიხურავდა, როდესაც ცერი და საჩვენებელი ნემსს აიღებდენ და კერვას შეუდგებოდენ.

სამთავე ძმამ წერა იცოდა და ამ მუშაობას ხშირად მიმართავდენ ხოლმე. ყველაზე უფრო ბეჯითი საჩვენებელი იყო. იგი ხშირად ისე მონდომებით აწვებოდა კალამს, რომ მელანი ქაღალდის მეორე მხარეს გადიოდა.

მეოთხე ძმა ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა იყო. მას არც წერა იცოდა და მაინცდამაინც არც მუშაობა უყვარდა. უფროსი ძმები ამისათვის მას მაინც არ ემდურებოდენ, მხოლოდ აჯავრებდენ და დაცინვით არათითაც კი დაარქვეს. არათითა არც ამ დაცინვისათვის უწყრებოდა თავს.

ის სულ იმის ფიქრში იყო, როგორმე ცოლი ეთხოვა და ბეჭედს მუდამ თან ატარებდა. მაგრამ ბედი მას არც აქ სწყალობდა და ისევ ცარიელი ბეჭდით დადიოდა.

მეხუთე ძმას ნეკი ერქვა და ის ხომ ჯერ კიდევ სულ პატარა იყო. მას მუშაობა არ შეეძლო და არც ძმები აძალებდენ.

— აბა, როგორ იმუშაოს, ის ხომ ბავშია და ჭიანჭველას ოდენი ღონეც არ გააჩნიაო, — იტყოდენ ძმები და თავიანთ პატარა ძმას სამუშაოდან ათავისუფლებდენ. მაგრამ ნეკი ძმებს მაინც არ შორდებოდა და სადაც ისინი წავიდოდენ, ისიც უკან მისდევდა...

ცხოვრობდენ ასე ძმები თითები ერთმანეთის თანხმობით და სიყვარულით.

ს. ურუშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თესლის ამოსვლა და ზრდა-განვითარება.

მოკლე ხანში დაიწყება მინდვრების და ბოსტნების დამუშავება. გლეხები გულისფანცქალით და სიხარულით ელოდებიან, თუ როდის ამოვა მათ მიერ დათესილი ყანა და ბოსტნეულობა. გამოუცდელ მუშას ხშირად ბედი უმტყუნებს. თესლი საკმაოდ ბევრი იყო ჩაყრილი მიწაში, ხოლო ამოსვლით კი ძლიერ ცოტა ამოვიდა. რატომ? ამ მოვლენის მიზეზი თესლში უნდა ვეძიოთ: თესლი არაკეთილხარისხოვანი იყო, ე. ი. ძველი, ან რაიმე მიზეზით წამხდარი, დამპალი. რომ შრომა ტყვილა არ დაიკარგოს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ იმისი გაგება, თუ რომელი თესლია კარგი, ე. ი. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამოსასვლელი თესლის შერჩევა. თესლის გამოცნობა შემდეგნაირად ხდება: აიღებენ ჩვეულებრივ აგურს, ჩადებენ მას ტაშტში და დაასხამენ იმდენ წყალს, რამდენიც დაფარავს აგურის ზედა ნაწილს. ნასვრეტებიდან აგური წყლით გაიჟღინთება, რის გამოც მისი ზედა ნაწილი დანესტიანდება.

სინესტის გამოსარკვევად გადაითვლიან რომელიმე მცენარეს და მას განწესრიგებულად დააწყობენ აგურის ზედა ნაწილზე. შემდეგ ახდენენ დაკვირვებას, ითვლიან, როდის და რამდენი თესლი გაიზარდა. ამსახით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რამდენი თესლი ამოვა იმ რაოდენობიდან, რომელიც აგურზე იყო მოთავსებული. ჩვეულებრივად 100 თესლიდან ითვლიან საყარგისი თესლის რაოდენობას და მას ჰროცენტებით გამოხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტავენ. თუ ვიტყვით, მაგალითად, რომ შერჩეული ამოსასვლელი თესლის რაოდენობა 75-% უდრის, ეს იმას ნიშნავს, რომ 100 თესლიდან 75 ამოვა და გაიზრდება, ხოლო 25 კი არა. ზემოაღწერილი ხერხით სარგებლობა საიმედო შედეგებს იძლევა და ამიტომ მით უნდა ვისარგებლოთ ყოველთვის, სანამ თესვას შევუდგებოდეთ. იმ შემთხვევაში, როდესაც თესლი ცოტა გვაქვს, შეგვიძლია ავიღოთ არა 100 მარცვალი, არამედ უფრო ნაკლები, მაგ. 25 და ზემოხსენებული ხერხით გავიგოთ, რამდენი არის სავარგისი—სათესლე მარცვალი. თესლის შერჩევის დროს ძლიერ ადვილად, შეგვიძლია დავაკვირდეთ თვით მცენარის თესლის განვითარებას და ცვალებადობას: როგორ წარმოიშობა ყლორტები, როგორ ვითარდება ძირი და პირველი ფოთლები და როგორ იცვლება თვით თესლი. ასეთი დაკვირვება უნდა მოვახდინოთ სხვადასხვა მცენარეულობის თესლეულობაზე, როგორიც არის შვრია, ხორბალი და სხვა, და დავიმახსოვროთ ის ცვალებადობანი, რომელსაც განიცდის თვითოეული მცენარის თესლი ზრდა-განვითარების პროცესში.

მ. ახვლ.





# გასართობი

(წარმოდგენილი ნ. ძიძიგურის მიერ)

## რებუსი

სა 10 | ვინ მუშაობს ქარხანაში. | პურს რა ეკიდება. ‘ | ს.

## გამოცანები

აიანდური, ბაიანდური,
კისერ-კოკლოთ ჩაიანდური.

მოიშლება, მოიღლება,
მოსშულდება სიარული.

გავიქცევი, გაიქცევა,
წავიქცევი, წაიქცევა.

წამოვდგები, წამოდგება,
გავჩერდები, გაჩერდება.

გააკეთეთ 14 წუმწუმიდან შემდეგი სახის ოთხკუთხედები:



გამოაკელით ამ ოთხკუთხედებს 6 წუმწუმა ისე, რომ დარჩეს ოთხი.

# აღარ ჰყვავის ბაღში ვარდი

მუსიკ. არიკოს დედის.

სიტყ. დ. ელიოზიშვილისა



ზამთარია. ცივა, ცივა,
თოვლის ფიფქი ზეცით სცვივა.
ეფინება არემარეს, ყველა აფრქვევს
ცრემლებს მწარეს.
აღარ მღერის ჩიტი ბაღში,
მხოლოდ ყვავი დაფრენს კარში;
,,ყვა-ყვა-ყვა-ყვა‟—სულ ხრიალებს,
ლხენით თვალებს აბრიალებს.
ტყეში მგელი, სისხლის მსმელი,
დაძუნძულებს საძაგელი,
ელის, ელის შავ-ბნელ ღამეს,
სურს კბილები გაჰკრას რამეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების

# სია

1. ნორჩი-ძალა—კრებული . . . . . . . . . . . . . . . . . 12 კაპ.
2. „ბელა-ბექეკა“ . . . . . . . . . . . . . . . . . 10 „
3. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია . . . . . . . 50 „
4. „ბავშებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა . . . . . . . . 20 „
5. „ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა . . . . . . . . . 20 „
6. „ტყის სურათები“ შიო მღვიმელისა . . . . . . . . . . 25 „
7. „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . . . . . . 80 „
8. ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . . . . . . . 80 „
9. „იგავ-არაკები“ ალ. მირიანაშვილისა . . . . . . . . 30 „
10. „ივანე სულელი“—ზღაპარი ლ. ტოლსტოისა . . . . . . 15 „
12. „მოქრავი თამაშობანი“ სიმღერებით—გოგლიჩიძისა . . . 1 მან.
13. „ოვიდიუსის მეტამორფოზები“—ალ. მიქაბერიძისა . . . . 70 კაპ.
14. „ზამთარი“—ფერადი სურათებით . . . . . . . . . . 50 „
15. „უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“ . . . . . . . 45 „
16. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან . . . . . . 25 „
17. „გაზაფხული და ზაფხული“ . . . . . . . . . . . . 90 „
18. „რას გვიამბობს ოთახი“ . . . . . . . . . . . . . . 20 „
19. „ზღვის სიმდიდრე“ . . . . . . . . . . . . . . . 20 „
20. „პატარა იაპონელები“—ფერადი ყდით . . . . . . . . . 75 „
21. „სიზმრად და ცხადად“ . . . . . . . . . . . . . . 30 „
22. „კოცონთან“—ჩვენი უფროსი ძმები, ახალგაზრდა კომკავშირელები . . . . . . . . . . . . . . . . . 10 „
23. „ლენინის საათი სკოლაში“ . . . . . . . . . . . . . 50 „
24. „ტაიგის საუნჯენი“ . . . . . . . . . . . . . . . . 40 „
25. „კომბლე“ ფერადსურათებიანი წიგნი . . . . . . . . . 65 „
26. პიონერი სოფლად . . . . . . . . . . . . . . . . . 25 „
27. საბავშო ბაღი—ფერადი სურათებით . . . . . . . . . . 1 მან.
28. ნორჩ პიონერთა თანამგზავრი . . . . . . . . . . . 20 კაპ.
29. მომღერლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15 „
30. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი—ჯიშკარიანისა . . 35 „
31. თინიკოს გამოცანები—ფერადი სურათებით . . . . . . . 45 „
32. საბავშო სახლის ცხოვრებათ . . . . . . . . . . . . 70 „
33. „იყავ მზად“ . . . . . . . . . . . . . . . . . . 5 „
34. პატარა ჰოლანდიელები . . . . . . . . . . . . . . . 80 „

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1926 წ.

გ ა მ ო ვ ა

ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. **„ნაკადული“** მე-XXII წ.

მოზრდილ. **„წითელი სხივი“** წელ. მე-III.

**ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.**

გადაგზავნით:
- „ნაკადული“—ერთი წლით—3 მ. 50 კ.
  ნახევარი წლით—2 მან.
- „წითელი სხივი“—ერთი წლით—5 მან.
  ნახევარი წლით—3 მან.

ცალკე ნომერი:
- „ნაკადული“ 35 კაპ.
- „წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი 8/III—26. ს.ს.მ.უ.ს. პოლ-ტრესტ. 1- ლისტამბაშეკ. № 888/5292. მთავ. №477 ტირ. 400.0